



ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი - 040854

Construction Road Machinery and Appliances Technician

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 50 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)

სულ 1250 საათი, აქედან:

30 კრედიტი (750 საათი) სასწავლო კომპონენტისათვის (საკონტაქტო საათი - 435, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56, დამოუკიდებელი - 259).

20 კრედიტი (500 საათი) პრაქტიკის კომპონენტისათვის (საკონტაქტო საათი - 484, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 16).

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც გააჩნია ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მიღებული აქვს შესაბამისი დიპლომი.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების მეხუთე საფეხურის ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად მართოს ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მექანიზმები, მოემსახუროს მათ, შეასრულოს რთული საშემკვეთებლო სამუშაოები.
- დამოუკიდებლად დაშალოს, შეაკეთოს და ააწყოს ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მექანიზმების მუშა ორგანოები, ძირითადი კვანძები და მექანიზმები.
- დამოუკიდებლად შეასრულოს სამგზავრო, სატვირთო და სამგზავრო-სატვირთო ლიფტების კვანძების მონტაჟი და გაწყობა.
- დამოუკიდებლად განსაზღვროს მანქანებისა და მოწყობილობების გამართვის, მომსახურებისა და შეკეთებისათვის შესაბამისი სამუშაოების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების საჭიროება.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იგის</p> <ul style="list-style-type: none"> სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციულ-კინემატიკური აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძვლები. თანამედროვე ახალი მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენება და შესაძლებლობები. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები და აცნობიერებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე. ტვირთამწევი მანქანებისა და ლიფტების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები. უცხოურ ენაზე ტექნიკური დოკუმენტაციისა და შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შედგენა. <p>აცნობიერებს</p> <ul style="list-style-type: none"> მექანიკის ინჟინერიის შესაძლებლობებს (საზღვრებს).
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> დამოუკიდებლად დაგეგმოს და აკონტროლოს საწარმოო დავალებების შესრულება ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. უზანზე მათი გამოყენების პერიოდული მონიტორინგი. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტულ საწარმოო პირობებში. ამ საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება.
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, საჭირო მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ხარისხიანად და თანმიმდევრულად გადასცეს იდეები და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. დამოუკიდებლად აითვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის გადაცემის და ანგარიშის წარდგენის.
სწავლის უნარი	<p>აქვს უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. გადაამუშაოს უახლესი ინფორმაცია პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად და დანერგოს სამუშაო პროცესში. გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი.
ღირებულებები	<p>აქვს</p> <ul style="list-style-type: none"> მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის უნარი და პასუხისმგებლობა. დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვის უნარი და პასუხისმგებლობა. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებს. ზრუნავს სამუშაო პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე.

VII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინფორმატიკა 2	x	x		x		
ინგლისური ენა B2	x	x		x		

თანამედროვე მზომი ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და სამარჯვები	X	X	X		X	
ამწე-სატრანსპორტო მანქანების ჰიდრო-და პნევმო-მოწყობილობები	X	X	X		X	
ამწე-სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების ნორმები და შრომის კანონმდებლობა	X		X		X	X
ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძვლები	X	X	X	X	X	X
მექანიკური მოწყობილობის რემონტი	X	X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა
I სემესტრი

№	საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობის საათები	
			თეორიული / პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური / დასკვნითი შეფასება		
1	ინფორმატიკა 2	5	/60				8	57	125
2	ინგლისური ენა B2	5	/60				8	57	125
3	თანამედროვე მზომი ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და სამარჯვები	3	30/15				8	22	75
4	ამწე-სატრანსპორტო მანქანების ჰიდრო- და პნევმო-მოწყობილობები	4	30/15	15			8	32	100
5	ამწე-სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების ნორმები და შრომის კანონმდებლობა	3	30/15				8	22	75
6	ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძვლები	6	45/15	45			8	37	150
7	მექანიკური მოწყობილობის რემონტი	4	30/15	15			8	32	100
	ს უ ლ	30	165/195	75			56	259	750

II სემესტრი

№	საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობის საათები	
			თეორიული / პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური / დასკვნითი შეფასება		
6	ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული	10				242	8		250

	აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძველები							
7	მექანიკური მოწყობილობის რემონტი	10			242	8		250
	ს უ ლ	20			484	16		500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (B) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;

- პორტფოლიო;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 ლაბორატორიული სამუშაო;
 საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინფორმატიკა 2	მერი მაღალაშვილი	მასწავლებელი
ინგლისური ენა B2	მანანა ბელთაძე	მასწავლებელი
თანამედროვე მზომი ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და სამარჯვები	მაია ბარბაქაძე	დოქტორი
ამწე-სატრანსპორტო მანქანების ჰიდრო- და პნევმო- მოწყობილობები	ნიკოლოზ ნარეშელაშვილი	დოქტორანტი
	გიორგი ნადირაშვილი	დოქტორი
ამწე-სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების ნორმები და შრომის კანონმდებლობა	მიხეილ შილაკაძე	დოქტორი
	დავით ბაქრაძე	დოქტორი
ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძვლები	გიორგი ნადირაშვილი	დოქტორი
	მიტროფანე მაღლაკელიძე	დოქტორი
ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების სტრუქტურული აგებულება, მუშაობის პრინციპები და გაანგარიშების საფუძვლები (საწარმოო პრაქტიკა)	მიტროფანე მაღლაკელიძე	დოქტორანტი
მექანიკური მოწყობილობის რემონტი	დავით ბაქრაძე	დოქტორი

მექანიკური მოწყობილობის რემონტი (საწარმოო პრაქტიკა)	დავით ბაქრაძე	დოქტორი
---	---------------	---------

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

I სასწავლო კორპუსი, სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის №56 მიმართულების №1 (ოთახი ბ-404) და №2 (ოთახი ა-401) ლაბორატორიები, ასევე მიმართულების სასწავლო სახელოსნო (ოთახი ბ-402)

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მომზადებისას პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო მანქანების სიმულატორები (ტრენაჟორები), ხელსაწყოები, იარაღები, თვალსაჩინოებანი, მოქმედი მოდელები და სადემონსტრაციო მასალა - ვიდეოფილმები, კინოფილმები, დიაფილმები.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:
შპს. "პალადა" ხელშეკრულება №145-2012-2 18.05.2012წ

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

V საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა, დადგენილ დისციპლინებში ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ გააგრძელოს სწავლა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ (მოდული - ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტები და მათი ტექნიკური ექსპერტიზა) საბაკალავრო პროგრამით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
19 აპრილი 2012 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან